3
ივლისი

სამშაბათი,
1962 წ.
№ 129 (1978)
გამოცემის მე-18 წელი.
ფასი 8 კაპ.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

✦

ათი-თერთმეტი წლის წინათ იჩქეფა პირველად ივრის წყალმა ახალგაყვანილი არხიდან „მლაშე ტბების“ გადამწვარ ველზე. ორი წლის მანძილზე ავსებდა იგი აქაურ ტაფობს. წლებისავე მანძილზე ავსებდა მწვანით, სილამაზითა და სიკეთით თბილისელთა მშრომელი მარჯვენა „ზღვის“ შემოგარენს.

და აი, დაუცხრომელი შრომის ნაყოფიც: „თბილისის ზღვა“, რომლის ხსენებაც არ იყო სულ ცოტა ხნის წინ, ახლა დედაქალაქის მცხოვრებთა და აქ ჩამოსული სტუმრების ერთ-ერთი საყვარელი ადგილია. იგი აქტიური დასვენების, გართობის, ტურიზმის, ცურვის, ნავით სეირნობისა და რამდენიმე სპორტულ სახეობაში მეცადინეობის შესანიშნავ ბაზას წარმოადგენს.

ყოველ კვირა, და არა მხოლოდ კვირაობით, „თბილისის ზღვის“ ნაპირები და მისი მიდამოები სავსეა დამსვენებლებით, ტურისტებით, სპორტსმენებით. აქეთ მოეშურებიან ფაბრიკა-ქარხნებისა და დაწესებულებათა ფიზკულტურელები, სტუდენტები, ბავშვები და ხანდაზმულები. მათ განკარგულებაშია დასვენების უამრავი საშუალება.

— გსურთ ნავით ისეირნოთ? — ინებეთ, იგი თქვენს განკარგულებაშია!..

— გსურთ მზითა და წყლით გაიკაჟოთ სხეული? — გაშლილი პლაჟი თქვენს სამსახურად არის მზად.

— ო, ეს ნამდვილად ასეა! — გულით ამბობს თბილისის სტუმარი, როდეზიელი ზანგი (სამხრეთ აფრიკის კავშირი), რანგანაი ჩამოკო, — აქ ყველაფერია იმისათვის, რომ ადამიანმა კარგად დაისვენოს, გაერთოს, შინაარსიანად გაატაროს დრო. თქვენი ქვეყანა მშვენიერია! თქვენი ქალაქი მშვენიერია! მშვენიერია „თბილისის ზღვაც“!

✦

სპორტული ივლისი

როგორც გასული თვე, ისე — ივლისიც მდიდარი იქნება დიდი მასშტაბის სპორტული შეჯიბრებებით. ამ თვეში მოეწყობა 4 მსოფლიო პირველობა. დღეს პრაღაში უძლიერესი ტანმოვარჯიშეები ჩაებმებიან მორიგ მსოფლიო ჩემპიონატში. 7-22 ივლისს მარიანსკი-ლაზნეში გათამაშდება სტუდენტ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატი, 8-15 ივლისს — მსოფლიო პირველობა ქალთა გუნდებს შორის ხელბურთში (ბუქარესტი). 16-28 ივლისს — ბუენოს-აირესში მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატი.

ამას გარდა გაიმართება კონტინენტის პირველობა ცხენოსნობაში, მრავალი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი, სსრ კავშირის ნაკრები თავისუფალ ჭიდაობაში გაემგზავრება ავღანეთში.

სოხუმელთა წარმატება

სოხუმში ერთ კვირას მიმდინარეობდა „ბ“ კლასის ფრენბურთელთა საკავშირო პირველობა. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდა ზონებში გამარჯვებული 6 ქალთა და 6 ვაჟთა გუნდი.

ქალთა გუნდებს შორის იყვნენ „ბურევესტნიკი“ (ყარაგანდა), „ტაჯიკისტანი“ (ლენინაბადი), „კალევი“ (ტარტუ), „ნეფტიანიკი“ (ბაქო) და სკიფი (რიგა). ქალთა ტურნირი წარმატებით ჩაატარეს სოხუმის „კოლმეურნის“ (ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის გუნდი) სპორტსმენებმა და დამსახურებულად მოიპოვეს პირველი ადგილი. ეს სოხუმელთა დიდი გამარჯვებაა.

ვაჟთა გუნდებს შორის ჩემპიონობა არავის დაუთმო რიგის არმიელთა კოლექტივმა.

რეკორდსმენების უპირატესობით

მოსკოვი. (ტელეფონით). დამთავრდა თუ არა ძმები ზნამენსკების მემორიალის მონაწილე 20 ქვეყნის სპორტსმენთა პარადი, სატყორცნი სექტორები ერთდროულად დაიკავეს ბირთვის მკვრელმა ქალებმა და ბადროს მტყორცნელმა ვაჟებმა. პირველები შედარებით ნაკლებნი იყვნენ — 12 და უფრო ადრე დაამთავრეს როგორც წინასწარი, ისე ფინალური შეხვედრები. უკვე წინასწარ შეჯიბრებებში დაწინაურდა მსოფლიო რეკორდსმენი თ. პრესი, როცა მესამე ცდაზე ბირთვი ჰკრა 17.17 მ-ზე და ერთ მეტრზე მეტით გაუსწრო უახლოეს კონკურენტს გ. ზიბინას — 16.09 მ.

ფინალში თ. პრესმა 17 მ 53 სმ-ს ჩვენებით არა მარტო პირველი ადგილი მოიპოვა, არამედ დაამყარა შეჯიბრების ახალი რეკორდიც, ზიბინამ მეორე ადგილი მოიპოვა.

ბადროს ტყორცნაში წინასწარი გამოსვლები კარგს არაფერს უქადდა მსოფლიო რეკორდსმენს ვ. ტრუსენიოვს. მან მხოლოდ მესამე ცდაზე შეძლო ეჩვენებინა 55 მ 04 სმ და გასულიყო ფინალში. ამ დროისათვის იგი ძირითად კონკურენტთან კ. ბუხანცევთან 69 სმ-ს აგებდა, ფინალში კი ყველაფერი შეტრიალდა, ტრუსენიოვმა ამ დღის თავის საუკეთესო შედეგს 1,17 მ მიუმატა და 56.21 მ-ს ჩვენებით მოიპოვა უძლიერესის სახელი. ბუხანცევმა ვეღარ შეძლო წინასწარ შეჯიბრებაში ნაჩვენები შედეგის გაუმჯობესება და იგი მეორე ადგილზე გამოვიდა.

შეჯიბრების პირველ დღეს ცუდმა ამინდმა ერთგვარად იმოქმედა შედეგებზე, მაგრამ თავიანთი სიძლიერე მაინც ცხადყვეს სიმაღლეზე მხტომელებმა. ვაჟთა შორის 215 სმ-ს დაძლევით გაიმარჯვა ვ. ბრუმელმა (მემორიალის ახალი რეკორდი), ქალთა შორის ი. ბალაშმა — 180 სმ. კიდევ ერთი საბჭოთა მსოფლიო რეკორდსმენი ცდიდა ძალებს ამ დღეს — ი. ტერ-ოვანესიანი. მართალია, ისიც პირველი იყო, მაგრამ რეკორდსმენისათვის საშუალო მაჩვენებლით — 7.90 მ. სამაგიეროდ, თავი ისახელა კორეელმა ქალმა სიმ-კინ-დანმა — მსოფლიოს არაოფიციალურმა რეკორდსმენმა 400 მ რბენაში (52,1) და ახლაც საგრძნობლად გადააჭარბა მ. იტკინას ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს (53,4), როცა წამმზომებმა მისი დრო 53,0-ით გამოსახეს.

ამ დღეს გათამაშდა ერთი მთავარი პრიზთაგანი — რბენა 5.000 მეტრზე, ისე, როგორც 1959 და 1961 წლებში, ფინიშზე კვლავ პირველი იყო პ. ბოლოტნიკოვი — 14.02,4. სპრინტერული დისტანციები (100 მ) მოიგეს ლენინგრადელებმა გ. პოპოვამ — 11,6 და ე. ოზოლინმა — 10,4.

გაცილებით კარგი შედეგები იქნა ნაჩვენები შეჯიბრების მეორე დღეს. ერთ-ერთ მთავარ პრიზზე — 10.000 მეტრზე რბენაში შეჯიბრებას ლიდერობდნენ ლ. ივანოვი და უნგრელი ნ. საბო. უკანასკნელ სწორზე „იუმანიტეს“ პრიზზე გამარჯვებულმა ლ. ივანოვმა შეძლო ხელთ ეგდო უპირატესობა და პირველს დაემთავრებინა რბენა — 29.27,4. მესამე პრიზისათვის (1500 მ რბენა) ბრძოლაში ერთნაირი დრო — 3.49,2 აჩვენა ორმა სპორტსმენმა—ინგლისელმა ჯ. ანდერსენმა და პოლონელმა ქ. კალაჩიკმა. გამარჯვება მიეკუთვნა ორივეს. ვაჟთა შორის 400 მ რბენაში მსოფლიოში სეზონის საუკეთესო შედეგით პირველი იყო მ. სინგხი (ინდოეთი) — 46.8. 80 მ თარჯრბენში ი. პრესმა გაიმეორა ჩვენი ქვეყნის რეკორდი — 10,6. 800 მ ქალთა შორის კვლავ პირველი იყო სიმ-კინ-დანი — 2.01,4. ეს 0,2-ით უარესია მსოფლიო რეკორდზე.

სხვა შედეგებიდან აღსანიშნავია ვ. ლიპსნისის მაჩვენებელი ბირთვის კვრაში—18.87 მ. 400 მ თარჯრბენი მოიგო იტალიელმა ს. მორალიემ —50,9, შუბის ტყორცნა—ი. ლუსისმა—78.03 მ. სამხტომში გამარჯვებულმა ო. ფედოსეევმა აჩვენა სეზონში მსოფლიოში მესამე შედეგი — 16.48 მ, ხოლო 200 მ რბენაში ა. ტუიაკოვმა და იტალიელმა ს. ოტოლინომ ერთნაირი შედეგით — 20,9 დაამთავრეს რბენა.

ა. კალმახელიძე

ა. ვიარავასმა დაიბრუნა ლიდერობა

საბჭოთა კავშირის მრავალდღიანი ველორბოლის VII ეტაპის ტრასა უმთავრესად მთაგორიან ადგილებზე გადიოდა. ამის მიუხედავად სპორტსმენებმა საკმაოდ მაღალი სისწრაფე აჩვენეს (37,5 კილომეტრი საათში).

ეტაპი მოიგო უკრაინის გუნდის წევრმა ამატუნმა. გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე კვლავ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები არიან. 7 ეტაპის შემდეგ ლიდერობა ესტონელმა ა. ვიარავასმა დაიბრუნა. საქართველოს გუნდი IV ადგილზეა.

ბათუმსა და თბილისში

წყალბურთში ევროპის ჩემპიონატისათვის მზადების მიზნით ბათუმსა და თბილისში გაიმართება „მცირე“ საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც გამოვლენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდები. 2 მატჩი გაიმართება ბათუმში. აქ 7 ივლისს ითამაშებენ უნგრეთი-სსრ კავშირის ნაკრები. 8-ში — უნგრეთი - საქართველო. თბილისში ამ გუნდების მატჩები მოეწყობა 10 და 11 ივლისს.

წერილი რედაქციას

◻

მარტო ჩვენ როდი ვართ დამნაშავენი

ამას წინათ გაზეთ „ლელოში“ გამოქვეყნდა რეიდის შედეგები საწყლოსნო ბაზების მდგომარეობის შესახებ. წერილი დროული და საქმიანი იყო. გეთანხმებით ყველა საკითხში, რომ თბილისის ბაზების უმეტესობა მართლაც მოუვლელი და დაუტვირთავია, მაგრამ ჩემის აზრით, არც ჩვენ, ბაზის დირექტორები ვართ ყველაფერში დამნაშავენი.

ჩვენთან, „განთიადის“ აუზზე, რომელიც ორთაჭალაშია, ნორმალური მუშაობის ყველა პირობაა შექმნილი, ჩამოყალიბებულია ჯგუფები, მაგრამ ბაზა არასათანადოდაა დატვირთული იმიტომ, რომ ქალაქის სპორტული ორგანიზაციები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი ამ აუზით, ამას ბაზის სიშორით ხსნიან. სინამდვილეში ვფიქრობ, ცურვის, წყალბურთის, წყალში ხტომის საქალაქო სექციები, განათლების განყოფილება, სპორტული საზოგადოებები ცდილობენ, რათა თავიანთი გუნდები მაინცდამაინც ფიზკულტურელის პარკის აუზში ავარჯიშონ. ჩვენ ძალით არავის მოყვანა არ შეგვიძლია.

ამრიგად, ჩვენი მწვრთნელები ყოველ გზაჯვარედინზე გაჰკივიან საწყლოსნო ბაზების სიმცირეზე და ავიწყდებათ, რომ აქვე, ქალაქში საუკეთესო ბაზა ცდება.

ი. ბროლაძე,
აუზის დირექტორი.

ფინიშის წინ

სპორტული კლუბების პირველი სპარტაკიადა გავიდა ფინიშის სწორზე. მალე გამოირკვევა თასის პირველი მფლობელი, ჯერჯერობით კი მისთვის შესანაძ ადგილს არჩევენ სპორტკლუბები „სინათლე“ და „გამარჯვება“, რომლებიც პროგრამის ოთხი სახეობის შემდეგ საგრძნობლად დაწინაურდნენ და საერთო გუნდურ ჩათვლაში ამ გუნდების ქულათა ჯამში სხვაობა მხოლოდ ერთი ქულით განისაზღვრება, რასაც ვერ ვიტყვით „ფეიქრის“ შესახებ. მან თასის მოპოვების ყველა შანსი დაჰკარგა იმ შემთხვევაშიც კი, თუნდაც პირველი ადგილი მოიპოვოს უკანასკნელ სახეობაში — ცურვაში.

როგორია ლიდერთა აქტივი? „სინათლის“ სპორტსმენებმა მას შემდეგ, რაც გამარჯვება მოიპოვეს ტანვარჯიშში, პირველობა არავის დაუთმეს მძლეოსნობაშიც და თითქმის ორჯერ მეტი — 19671 ქულა მოაგროვეს, ვიდრე მისმა უახლოესმა კონკურენტებმა „გამარჯვებამ“ და „ისანმა“. „ფეიქარი“ კი უკანასკნელ ადგილზე გამოვიდა საკმაოდ მოკრძალებული შედეგით — 1707 ქულა (!).

ე. ლომთაძე, ნ. კონოფოლსკაია, უ. ნიკოგოსოვი, ზ. ავეტისიანი, ო. ბერიშვილი, ს. პრიბელსკაია, ლ. დარახველიძე, ე. ლომიძე — აი ისინი, ვინც „სინათლეს“ გამარჯვება მოუტანეს მძლეოსნობის ცალკეულ სახეობებში და სათანრიგო მოთხოვნებიც შეასრულეს.

მაგრამ რამდენადაც აშკარა იყო „სინათლის“ გამარჯვება მძლეოსნობაში, იმდენად წარმატების სასწორი „გამარჯვების“ მხარეს გადაიხარა ძალოსნობაში და „ფეიქრის“ მხარეს — ველოსპორტში.

კიროველმა შტანგისტებმა ადვილად დაამარცხეს ყველა მოწინააღმდეგე და დაიმტკიცეს უძლიერესის სახელი. ქების ღირსია „ფეიქრის“ ველოსიპედისტთა დამსახურებული გამარჯვება. მათ მოიგეს დისტანციების უმეტესობა.

„ფეიქარს“ ველოსპორტში უძლიერესის სახელი მოაპოვებინეს ე. კვანტალიანს, ვ. ქელტკოვას, ლ. კარიცევას, ლ. სტაშევსკაიას, გ. ყაველაშვილის კარგმა ტექნიკურმა და ფიზიკურმა მომზადებამ.

ამრიგად, სპარტაკიადა უახლოვდება ფინიშს. ცხადია, იმის წინასწარ თქმა, თუ ვის დარჩება გამარჯვება, ძნელია და ამ საკითხს მოცურავეთა შეჯიბრება გადაწყვეტს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სპარტაკიადამ ბევრი დადებითი და უარყოფითი მხარეები გამოავლინა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ფიზკულტურული კოლექტივის „ისნის“ მაღალი მაჩვენებლები. იგი სათანადო კონკურენციას უწევდა სპორტკლუბებს და, ვფიქრობთ, დროა იერიში მიიტანოს ამ საპატიო წოდების მოსაპოვებლად. მით ხომ ამას წინათ მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის კარგად დაყენებისათვის საკავშირო პროფსაბჭოს საპატიო თასი გადაეცა, რაც ჩვენის აზრით, კარგი ჯილდოა ფიზკულტურელის დღესთან დაკავშირებით.

ბ. კოვალიოვი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

როგორ ვემზადებით საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადისათვის!



დროა დავიბრუნოთ დაკარგული პოზიციები

საქართველოს სატრეკო რბოლას დიდი ტრადიციები აქვს. იყო დრო, როდესაც ჩვენი სპორტსმენები წარმატებით გამოდიოდნენ საერთაშორისო შეჯიბრებებში, საკავშირო ჩემპიონატებში. სატრეკო ველოსპორტის ამ „ოქროს ხანაში“ გამოიზარდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები, ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენები. საქართველოს წამყვანი სპორტსმენები მტკიცედ იდგნენ საბჭოთა ველორბოლის ავანგარდში და აქტიურად მონაწილეობდნენ მის განვითარებაში.

ასე იყო წინათ. რა მოხდა შემდეგ? ვეტერანებმა ნელნელა დასტოვეს ასპარეზი, მათი ღირსეული ცვლა კი არ მოვიდა. თავდაპირველად ამას გარდამავალი ხანის თავისებურებით ხსნიდნენ, მაგრამ ეს საფეხური ხანგრძლივი გამოდგა, რამაც საგანგაშო სიგნალების პირველი ტალღა გამოიწვია.

დაიწყო ობიექტური მიზეზების ძებნა, და როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება, მკაცრი კრიტიკის ქვეშ იქნა გატარებული მწვრთნელთა მუშაობა, ცალკეულ სპორტსმენთა უსულგულო დამოკიდებულება წვრთნისადმი. დასკვნების სამართლიანობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო, მაგრამ მან არავითარი პრაქტიკული შედეგი არ გამოიღო.

პირიქით, მოხდა ერთი უსიამოვნო ფაქტი, რამაც საბოლოოდ დაუსვა წერტილი ჩვენი ველოსპორტის კარგ ტრადიციებს. როგორც ცნობილია, ჩვენი ველოსპორტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა საკავშირო საქალაქთაშორისო შეჯიბრება „ა“ და „ბ“ ჯგუფის გუნდებისათვის. ჩვენი ველოსიპედისტები მუდამ მაღალ კატეგორიაში გამოდიოდნენ, მაგრამ უკანასკნელი წლების წარუმატებლობამ ისინი რანგითაც უკან დასწია. ჩვენი რესპუბლიკა 1960 წელს გადავიდა „ბ“ ჯგუფში და თითქოს სამუდამოდ დარჩა აქ.

ეს ახალი წარუმატებლობა მოვლენათა მსვლელობის ლოგიკური შედეგი იყო, მაგრამ მან ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ორგანიზაციებში მაინცდამაინც დიდი რეზონანსი არ გამოიღო. უმეტესობა ფიქრობდა ასე: მართალია, ველოსპორტში გვექნება მნიშვნელოვანი ჩამორჩენა, მაგრამ ეს არც თუ ისე დიდი „ტრაგედიაა“, სატრეკო ველოსპორტი არ იყო შეტანილი საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაში და მასში ჩამორჩენას დიდ ცოდვად არ თვლიდნენ.

საკითხის ასე არასწორად დაყენებამ კიდევ ერთი მავნე ტრადიცია დაამკვიდრა. სატრეკო ველოსპორტის წარმომადგენლებმა ნელნელა იბრუნეს პირი გზატკეცილისაკენ, რომელიც სპარტაკიადის პროგრამის ნაწილს წარმოადგენდა. გაქრა ზღვარი ტრეკსა და გზატკეცილს შორის. ასეთმა ხელოვნურმა სინთეზმა ვერც საგზატკეცილო სპორტის საქმე წასწია წინ და ვერც სატრეკოსი.

ამ დროს კი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში უკუმოვლენებს ჰქონდა ადგილი. მოსკოვში, ლენინგრადში, ტულაში, ლატვიაში, ესტონეთში მოხდა ველოსპორტის საბოლოო დიფერენცირება და მისმა ყოველმა სახემ მიიღო გარკვეული ფორმა და შინაარსი.

ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია ველოსიპედისტებთან იმის თაობაზე, თუ რატომ არ სპეციალიზირდებიან ისინი ტრეკზე და რატომ აქვთ მათ უფრო მეტი ლტოლვა საგზატკეცილო რბოლისაკენ. პასუხი სამართლიანად და დამაჯერებლად ჟღერდა: „არ არის გასაკვირი, რომ ყველა სპორტსმენს სურს მონაწილეობა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში. იგი საინტერესოა და საპატიოც. ტრეკზე კი რესპუბლიკური შეჯიბრებებიც იშვიათად ტარდება და რა უნდა ქნას სპორტსმენმა ტურნირის გარეშე?“

აი სწორედ, აქ უნდა ვეძებოთ ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი. რესპუბლიკის სპორტულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს რომ მეტი ოპერატიულობა და ინიციატივა გამოეჩინათ შეჯიბრებების მოწყობაში, ტრეკისადმი ინტერესიც გაიზრდებოდა და სიყვარულიც.

დღეს ტრეკზე რბოლა შეტანილია საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის პროგრამაში. აი ახლა კი წინა პლანზე წარმოდგა იგი. თუ რა შანსები აქვთ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს ამ სახეობაში, ერთხელ კიდევ ნათლად დაგვანახა ამას წინათ ჩატარებულმა საქართველოს პირველობამ.

არ შეიძლება ხელაღებით იმის თქმა, რომ ჩვენს ველოსიპედისტებს არ ეტყობათ ერთგვარი წინსვლა. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ამ ცოტა ხანში 4 ახალი სპორტის ოსტატი მომზადდა. შესამჩნევად გაიზარდა სპორტსმენთა ტექნიკური და ტაქტიკური ოსტატობა ველოსპორტის ზოგიერთ სახეობაში. გაუმჯობესდა 10 წლის წინანდელი რესპუბლიკური რეკორდი 500 მეტრზე ადგილიდან რბოლაში, მაგრამ ეს განა საკმარისია?

ჯერ კიდევ 1961 წელს საქართველოს სპორტკავშირმა მიიღო სპეციალური დადგენილება ტრეკზე რბოლის შემდგომი განვითარების თაობაზე. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის სპორტულმა ორგანიზაციებმა ვერ გაართვეს თავი დადგენილების ცალკეულ პუნქტებს და იგი შეუსრულებელი დარჩა.

ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის რაიონები არ აწვდიან კადრებს ველოსპორტს. ეს სხვათაშორის ჩატარებულმა პირველობამაც გვიჩვენა, გასული წლის ჩემპიონატში დებულების მიხედვით რაიონების გუნდებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ შეჯიბრებაზე ჩამოვიდა მხოლოდ აჭარის გუნდი, რომელმაც გაგვაცნო ნიჭიერი ველოსიპედისტი ო. ნიშნიანიძე. იბადება კითხვა: თუ აჭარამ შეძლო მაღალი კლასის სპორტსმენის გამოზრდა, რატომ არ შეეძლო ასეთის გაკეთება სხვა რაიონებს? ამბობენ, რაიონებში არ არის ტრეკი და სწორედ ეს უშლის ხელს ველოსიპედისტთა მომზადებასო, მაგრამ ტრეკი ხომ არც აჭარაშია? სპორტკავშირის დადგენილებაში კი ნათლად იყო მითითებული იმის შესახებ, რომ რაიონებში მოეწყოს შეჯიბრებები გზატკეცილზე ტრეკის პროგრამით. როგორც ჩანს, აქ მთელი ამბავი სპორტის ამ სახეობისადმი უსულგულო დამოკიდებულებაშია,

ტრეკზე რბოლას უგულებელყოფენ არა მარტო რაიონებში, არამედ თბილისშიც და ისიც ისეთი დიდი ორგანიზაციები, როგორიცაა „დინამო“, „ლოკომოტივი“, „განთიადი“ და სხვა. მაგალითისათვის, ახლახან დამთავრებული რესპუბლიკური ჩემპიონატიც კმარა. აქ არ მონაწილეობდნენ ზემოჩამოთვლილი ორგანიზაციების წარმომადგენლები. სწორედ ამიტომ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამოდიოდა მონაწილეთა უკიდურესად მცირე რაოდენობა — სულ 40 კაცი (!).

კიდევ უფრო არასახარბიელო მდგომარეობაშია სპორტსმენ ქალთა მომზადება. აქ წლიდან წლამდე ერთსა და იგივე გვარებს ვხვდებით, რომელთა შედეგები ვერავითარ კრიტიკას ვერ იტანენ.

და ბოლოს, ერთი საკითხი, რომლის შესახებ არაერთხელ თქმულა და დაწერილა. ესაა თბილისის ველოტრეკი, რომელიც თავისი პოტენციალით უკვე საგრძნობლად ჩამორჩა თანამედროვე ველოსპორტის მოთხოვნებს. ათეული წლების წინ სპორტსმენები ანვითარებდნენ სისწრაფეს, რომელიც თბილისის ტრეკისათვის მისაწვდომი იყო. დღეს კი, როდესაც სისწრაფემ 65-70 კილომეტრს მიაღწია, ტრეკმა თავისი შესაძლებლობები ამოწურა. ეს ფაქტი მთელ რიგ უხერხულობას ქმნის, რომელიც განსაკუთრებით მაშინ ვლინდება, როდესაც ჩვენი რესპუბლიკის ველოსიპედისტები სხვა ქალაქებში, უფრო დიდ ველოტრეკზე გამოდიან.

ტრეკი ხალხთა III სპარტაკიადის პროგრამის შემადგენელი ნაწილი გახდა. ამიტომ ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, სპორტსმენებმა, მწვრთნელებმა და მთელმა სპორტულმა საზოგადოებრიობამ ყველა ღონე უნდა იხმაროს იმისათვის, რათა შესამჩნევად გარდაქმნას მუშაობა ამ ფრონტზე. დროა საქართველომ დაიბრუნოს დაკარგული პოზიციები ველოსპორტში.

ა. ბაქრაძე,
სახელმწიფო მწვრთნელი ველოსპორტში,
ნ. გუგუშვილი.

ჩილის მსოფლიო ჩემპიონატზე

△

ა. ლოლოგერიძე,

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

△

თავს არ მოგაწყენთ ჩემი ტურისტული შთაბეჭდილებებითა და განცდებით. ვიტყვი მხოლოდ, რომ რანკაგუა და ვინია-დელ-მარი პატარა, ლამაზი ქალაქებია, დაახლოებით ბათუმის სიდიდისა (წარმოიდგინეთ, ბათუმელებმა რომ ნახონ მსოფლიო პირველობის მატჩები). კლიმატისა და ბუნების სილამაზით ჩვენ გაცილებით უფრო უკეთეს პირობებში ვიმყოფებოდით, ვიდრე ისინი, ვინც გადახრუკულ არიკაში მოხვდნენ ატაკამის უდაბნოს პირას.

პირველი მატჩი მსოფლიოს პირველობაზე, რომელიც მე ვნახე, ეს იყო ბულგარეთ-არგენტინის შეხვედრა. ბულგარეთი მე შემხვდა, არგენტინა — ვ. სოლოვიოვს. ჩემს მოვალეობას ბულგარელთა გუნდის მეთვალყურის როლში მე კეთილსინდისიერად ვასრულებდი, მაგრამ, გამოგიტყდებით, თვალი მაინც არგენტინელებისაკენ მიმირბოდა. არგენტინას დიდი წონა აქვს საერთაშორისო ფეხბურთში და, რაც მთავარია, იცის როგორ ეთამაშოს ბრაზილიის უძლიერეს გუნდს. ბევრი მიმომხილველი დაჯინებით ამტკიცებდა, რომ თუ არგენტინა ფინალში შეხვდა ბრაზილიას, ამ უკანასკნელის საქმე ცუდად წავაო.

და აი ამ მატჩს ესწრებოდა სულ რაღაც 6 ათასი მაყურებელი. 25-ათასიანი სტადიონის ტრიბუნები სრულიად ცარიელი იყო და მხოლოდ ცენტრი ჰქონდათ დაკავებული მაყურებლებს. მართალია, აბონემენტის ფასი ძალზე მაღალი იყო —12-დან 100 დოლარამდე, მაგრამ ჩვენ ძალზე გვეუცხოვა მაყურებელთა სიმცირე და უნდა მოგახსენოთ — გვეწყინა კიდეც.

თამაში დაიწყო უტემპოდ, უინტერესოდ და მცირე გამონაკლისის გარდა, ასევე დამთავრდა. არგენტინელებს, რომლებიც ცნობილი ბრაზილიური სისტემით თამაშობდნენ, ჰქონდათ გარკვეული უპირატესობა, მაგრამ მათს რიგებში არ არიან „ვარსკვლავები", გამოჩენილი ფეხბურთელები, რომლებიც საინტერესო სანახაობითს თამაშს ქმნიან. ერთადერთი, ესაა სანფილიპო, რომელსაც დანარჩენები გულმოდგინედ აწვდიდნენ ბურთებს, მაგრამ სანფილიპო ჩაკეტეს ბულგარელმა მცველებმა და მასაც მაინცდამაინც არ გამოუდვია თავი რაიმე აქტიურობით. არგენტინელთა მარჯვენა გარემარბმა ფ. რაკუნდომ მატჩის დასაწყისში გაიტანა ერთი ბურთი და მთელი გუნდი ამ გოლის შენარჩუნების მიზნით თავგამოდებით ჩხუბობდა დარჩენილი 86 წუთის განმავლობაში. ჩხუბობდა ამ სიტყვის სრული და პირდაპირი მნიშვნელობით (განსაკუთრებით მარზოლინი, საისი, პაგანი). მას შემდეგ, რაც ბულგარელებმა ამ ხელაღებული მუშტიკრივის შედეგად დაკარგეს ორი წამყვანი მოთამაშე — დიევი და ილიევი, მათაც გადაუხვიეს „ქრისტიანულ წესს", რომელიც ერთ ლოყაში გარტყმისას მეორის მიშვერას გულისხმობს და უხეშობას უხეშობითვე უპასუხეს.

დიდად საწყენი იყო მსოფლიო პირველობაზე ნამდვილი ფეხბურთის ნაცვლად ხულიგნობის ცქერა, მაგრამ ეს ამბავი თურმე მარტო ჩვენს სტადიონზე კი არ მომხდარა, არამედ სხვაგანაც. ჩილის გაზეთებში ატყდა განგაში, ფიფა-მ მოიწვია საგანგებო სხდომა, მსაჯებს მიეცათ სპეციალური ინსტრუქცია და უხეშობამ შემდგომში თანდათან იკლო, ხოლო რაც შეეხება ფინალს, იგი აბსოლუტური კორექტულობის ნიმუშს წარმოადგენდა.

პირველი ნამდვილად საინტერესო მატჩი, რომელიც მე ჩემპიონატზე ვნახე, ეს იყო უნგრეთისა და ინგლისის გუნდების შეხვედრა. ბრძოლა უაღრესად დაძაბული და თანაბარი იყო, სადაც რომელიმე მხარის უპირატესობაზე კარგა ხანს ვერაფერს იტყოდით, მაგრამ თუ ყურადღებით დააკვირდებოდით, შეამჩნევდით, რომ უნგრელები ოდნავ, თითქმის უმნიშვნელოდ უფრო ზუსტები იყვნენ კომბინაციებში, რომ მათი უძლიერესი ფორვარდები ტიხი და ალბერტი უფრო პროდუქტიულად მოქმედებდნენ იმ ზონაში, საიდანაც ჩვეულებრივ გადის ხოლმე ბურთი კარში. ინგლისელთაგან კარგი შთაბეჭდილება დატოვა გრივსმა (№ 8), ხოლო ჩარლტონმა (№ 11) ბრწყინვალე თამაში აჩვენა. ესაა საოცრად სწრაფი გარემარბი, რომელსაც საუცხოო დრიბლინგი აქვს. ჩარლტონი საჭიროების შემთხვევაში დაუღალავად ეხმარება თავის ნახევარდაცვას, მარჯვნივაც ინაცვლებს, არავითარ შემთხვევაში არ დააყოვნებს ბურთს, თუ რომელიმე პარტნიორს მოკრა თვალი თავისუფალ პოზიციაში. ვერ გაამართლა ინგლისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ჰიტჩენსმა. იგი გამოთიშული იყო ანსამბლს და მე ვხედავდი, თუ როგორ უკმაყოფილოდ იქნევდა თავს გუნდის მწვრთნელი უ. უინტერბოტომი. მორიგ მატჩში მწვრთნელმა ჰიტჩენსის ნაცვლად პიკოკი გამოიყვანა მინდორზე, მაგრამ ეს ვარიანტი უარესი გამოდგა, რის შემდეგ ინგლისელებმა ხელი ჩაიქნიეს და ისევ ჰიტჩენსი არჩიეს.

რომ ეს ცენტრფორვარდის გადაუჭრელი პრობლემა არა, ინგლისელებს უკეთესი შედეგების ჩვენება შეეძლოთ. მათს თამაშში სილამაზეს ნუ ეძებთ, მაგრამ იგი მეტად მძლავრი და შთამბეჭდავია. სულ ორი-სამი გადაცემაც კი საკმარისია ინგლისელთათვის, რომ ღრმა დაცვიდან უშუალოდ კარის წინ გაიყვანონ თავისუფალი ფორვარდი. და რამდენად განსხვავდება მათგან არგენტინელთა დაქუცმაცებული, მოკლე გადაცემებიანი თამაში. ცენტრიდან საჯარიმო მოედნამდე მისაღწევად არგენტინელებს სულ ცოტა 5-6 გადაცემა მაინც ეხარჯებათ, რასაც ისინი უამრავ დროს ანდომებენ. თანამედროვე ფეხბურთში კი დრო ყველაფერია.

მე ვნახე არგენტინელი ფეხბურთელები მას შემდეგ, რაც მათ მეოთხედფინალში გასვლის ყოველგვარი შანსი დაკარგეს. ძნელია ამაზე უფრო სევდიანი, მოწყენილი ხალხის წარმოდგენა. მე არც მიკითხია უგუნებობის მიზეზი, ან რა საჭირო იყო. არგენტინელებმა კარგად იცოდნენ რა მილებაც ელოდათ სამშობლოში.

განსაკუთრებული ინტერესით ველოდი პელეს ნახვას. ჩვენში ბევრი რამაა ცნობილი ამ ბრაზილიელი ზანგის შესახებ, მაგრამ სამხრეთ ამერიკაში პელე სწორუპოვარი პიროვნებაა. პელეს სახელის გაგონებაზე ტრიბუნები ისტერიულად კივიან. ეს გულღია, ხალისიანი, მომღიმარი ფეხბურთელი უკვე დღეს ლეგენდადაა ქცეული. ლეგენდად ქცეულია აგრეთვე მისი ქველმოქმედება, სიყვარული ბავშვებისადმი, ცხოველებისადმი და, რასაკვირველია, ბურთისადმი.

პელეს ვუყურეთ ბრაზილიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების მატჩში. მაგრამ ფეხბურთისათვის განკუთვნილი 90 წუთის ნაცვლად პელეს თამაში ვიხილეთ სულ რაღაც 20 წუთით. ამ ხნის განმავლობაში მას ბევრი არაფერი გაუკეთებია, ვინაიდან პელეს ჩვეულებად ჰქონია კარგად გაერკვას სიტუაციაში, მოსინჯოს მოწინააღმდეგე, თავისებური დიაგნოზი დაუსვას თვითეულ მცველს და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგეს თავის საქმეს. სანამ პელე ამ საძიებელ სამუშაოებს აწარმოებდა, მას მოულოდნელად, მოწინააღმდეგის მოთამაშესთან შეხების გარეშე მოუვიდა სერიოზული ტრავმა. ძნელი მდგომარეობიდან კარში დარტყმის დროს მან ძლიერად გაიჭიმა ფეხის კუნთი და დაეცა. იქვე იმყოფებოდა ჩეხების ნახევარმცველი მასოპუსტი, რომელმაც ნახა ყველაფერი ეს და მოიქცა როგორც ჭეშმარიტი რაინდი — არ დაესხა თავს მწოლიარე პელეს. ბრაზილიელი ზანგი გაჭირვებით ადგა და მადლობის ნიშნად ნელი დარტყმით გაიყვანა ბურთი ხაზს გარეთ.

ორივე ფეხბურთელის ამ კეთილშობილურმა ჟესტმა უდიდესი მოწონება გამოიწვია სტადიონზე და მაყურებლები არ დამცხრალან შემდეგშიც, როცა პელე ექიმებმა ძლივს შემოიყვანეს მინდორზე, სადაც მან ადგილი დაიკავა მარცხენა ფრთაზე და არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა თამაშში. აქაც ჩეხოსლოვაკიის გუნდის მცველები ყოველმხრივ ამჟღავნებდნენ თავიანთ პატივისცემას ჩვენი დროის უდიდესი ფეხბურთელისადმი და ერთხელაც არ შეჯახებიან მას.

აღნიშნულმა მატჩმა, უკეთ რომ ვთქვათ ბრაზილიელთა თამაშმა, ნამდვილი გაწბილება გამოიწვია როგორც მაყურებელთა შორის, ისე პრესაშიც. მართლაც, პელეს გუნდი არაფრით არა ჰგავდა იმ მრისხანე მსოფლიო ჩემპიონს, რომელმაც სრულიად ახალი, სრულყოფილი ფეხბურთის დემონსტრაცია მოახდინა შვეციაში და სპეციალისტებს აჩვენა თამაში, რომელზეც ისინი დიდხანს ოცნებობდნენ, წერდნენ, რომ ბრაზილიელები ზედმეტად არიან დარწმუნებული თავიანთ ძალებში, რომ შემადგენლობა დაბერდა 4 წლით, რომ მათ უკვე კარგად იცნობენ და ამიტომაც წინააღმდეგობის გაწევა მეტოქისათვის გაცილებით უფრო იოლია და ა. შ.

მაგრამ, ეტყობა ბრაზილიელებს თავიანთი კონკრეტული გეგმა ჰქონდათ, რომელსაც ისინი ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდნენ. გუნდმა არ გამოამჟღავნა მთელი თავისი შესაძლებლობანი თავიდანვე, მიაღწია მხოლოდ იმას, რაც საჭირო იყო, ე. ი. პირველი ადგილი დაიკავა ჯგუფში და მხოლოდ მეოთხედფინალში ჩართო ერთით მეტი „სიჩქარე". ეს იყო მატჩში ინგლისელებთან.

ამ თამაშის შემდეგ მაყურებლებიც სრულიად ნასიამოვნები დაიშალნენ სტადიონიდან და პრესამაც შეიცვალა ტონი: მსოფლიო ჩემპიონმა გამოაჩინა თავისი ჩანგები.

ინგლისელებმა მეტად მაღალ ტემპში დაიწყეს თამაში და პირველივე წუთებზე ამოქმედეს თავიანთი „მახვილი" — ბობი ჩარლტონი. ბრაზილიელთა მარჯვენა მცველი ჯ. სანტოსი ჯერ კიდევ კონტრილეთისათვის ემზადებოდა, როცა ჩარლტონმა თვალშეუვლები მოძრაობით აუარა ჯერ მას, შემდეგ მაუროს და ზედ კარის წინ ჩააწოდა ბურთი. ცენტრალურმა თავდამსხმელმა ვერ გამოიყენა მარცხენა გარემარბის ეს ძვირფასი „ნობათი" და დაკარგა ნაღდი გოლი. სანამ ის თმებში ხელჩავლებული კვნესოდა მეკარე ჟილმარის წინ, ბრაზილიელებმა წინ გაიყვანეს ბურთი და თავიანთი მთავარი „კოზირი" ჩართეს თამაშში — გარინჩა. თუ შევადარებთ ორივე მოწინააღმდეგის ძირითად შემტევ ძალას — ჩარლტონსა და გარინჩას, ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო ძლიერია. გარინჩა როგორც კატა თაგვს, ისე ეთამაშებოდა თავის დარაჯს უილსონს, და განა მარტო უილსონს. იგი გასაოცარი სისწრაფით დაქროდა მინდორზე და ამ კოლოსალურ სისწრაფეში წამითაც არ კარგავდა ბურთს. ინგლისელებმა ყველაფერი სცადეს, რათა როგორმე „დაეშოშმინებინათ" მოწინააღმდეგის განრისხებული გარემარბი, მაგრამ ეს აშკარად აღემატებოდა მათს შესაძლებლობებს. პირველი ტაიმის დასასრულს უ. უინტერბოტომმა ორიოდე სიტყვა უთხრა კორესპონდენტებს: „წარმოდგენა არა მაქვს რა ვუთხრა ჩემს მცველებს. როგორ უნდა დავიჭიროთ გარინჩა, არ ვიცი!"

მაგრამ სწორი არ იქნებოდა ბრაზილიელთა გამარჯვება (3:1) მხოლოდ გარინჩას პირად საქმეში ჩაგვეკერა. ინგლისელებმა ამ დღეს ძალზე ძლიერად ითამაშეს, მაგრამ ყველასათვის ცხადი იყო, რომ ბრაზილიის ნაკრები მთელი თავით მაღლა დგას მათზე.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" № 128.

• • •

ინგლისელ ფეხბურთელთა მთავარი მწვრთნელი უ. უინტერბოტომი თვითეულ ვარჯიშზე ესაუბრებოდა თავის მოთამაშეებს მომავალ მოწინააღმდეგეთა თავისებურებებზე, მათთან ბრძოლის საშუალებებზე. ქვედა სურათზე: უ. უინტერბოტომი წვრთნის დამთავრების შემდეგ მოთამაშეებთან აწარმოებს ტაქტიკური ხასიათის საუბარს.

ზემო სურათზე ნაჩვენებია შვეიცარიელთა გუნდი მორიგ წვრთნაზე. ფეხბურთელები ვარჯიშობენ საერთო ფიზიკური მომზადების პროგრამით.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 3 ივლისისათვის

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ზენიტი" (ლენინგრადი)	10	5	4	1	20—6	14
ცსკა	9	5	4	0	15—4	14
„დინამო" (კიევი)	9	5	4	0	14—9	14
„შახტიორი" (დონეცკი)	9	5	2	2	16—11	12
„კაირატი" (ალმა-ატა)	9	2	4	3	8—8	8
„მოლდოვა" (კიშინიოვი)	9	2	4	3	9—9	8
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	9	3	2	4	12—13	8
სკა (როსტოვი)	9	3	1	4	11—14	7
„სპარტაკი" (ერევანი)	9	2	2	5	8—15	6
„ჟალგირისი" (ვილნიუსი)	9	1	3	5	5—23	5
„დაუგავა" (რიგა)	9	2	0	7	8—14	4

• • •

მოსკოვი. 1 ივლისი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობისა ფეხბურთში „ა" კლასის I ქვეჯგუფის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ლოკომოტივი" და ერევნის „სპარტაკი".

მატჩი მოიგო „ლოკომოტივმა" ანგარიშით 2:1.

ქალთა მსოფლიო ჩემპიონობისათვის

14. ე. ბიკოვა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი

მსოფლიო ჩემპიონისა და ახალი პრეტენდენტის კ. ზვორიკინას მატჩი ბევრ მითქმა-მოთქმას იწვევდა. მიუხედავად იმისა, რომ მათი შეხვედრების საერთო ანგარიში იყო 10,5:8,5 ე. ბიკოვას სასარგებლოდ. ბევრი ვარაუდობდა მის დამარცხებას.

1959 წლის დეკემბრის დამდეგს მოსკოვში დაიწყო ე. ბიკოვა-კ. ზვორიკინას მატჩი.

ორთაბრძოლის ირგვლივ პრესაში გამოქვეყნებულიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ე ბიკოვას სასარგებლოდ მოყვანილი ფაქტები კ. ზვორიკინას სპორტული ბიოგრაფიიდან. 1957 წელს ლ. ვოლპერტთან და 1958 წელს ვ. ბორისენკოსთან ერთად მან გაიყო I-II ადგილები სსრ კავშირის ჩემპიონატებში და შემდეგ მატჩები ჩემპიონობაზე წააგო.

პირველ პარტიაში კ. ზვორიკინა დიდი ენერგიით უტევდა ჩემპიონს და დამსახურებულადაც გაიმარჯვა. მინსკელი ოსტატი მეორე პარტიაშიც ჩინებულად თამაშობდა, მაგრამ კრიტიკულ მომენტში დაკარგა იერიშის გეზი და თვითონ მოუხდა დაცვაზე გადასვლა. მსოფლიო ჩემპიონმა პარტია გამარჯვებამდე მიიყვანა. III პარტიაში ბრძოლა არ შენელებულა. მხოლოდ დაბოლოებაში ფიქსირებულ იქნა ყაიმი. IV პარტია მოიგო ე. ბიკოვამ. V პარტიაში ინიციატივა მსოფლიო ჩემპიონს ჰქონდა. მაგრამ ცაიტნოტში გააფუჭა პოზიცია. პარტია გადაიდო, სადაც ყაიმი იყო მოსალოდნელი. თამაშის განახლებისას მსოფლიო ჩემპიონმა რამდენიმე შეცდომა დაუშვა და დამარცხდა. VI პარტიაში კ. ზვორიკინა დამაჯერებლად იბრძოდა. მან უვნებლად განვლო შუა თამაში და პარტია მოსაგებ დაბოლოებამდე მიიყვანა. აქ აშკარად გამომჟღავნდა, რომ პრეტენდენტი სუსტად ატარებდა ტექნიკურ დაბოლოებებს. ე. ბიკოვამ წაგებული პარტია ყაიმით დაამთავრა.

3:3. დარჩენილ 10 პარტიაში კ. ზვორიკინას 5,5 ქულა ესაჭიროებოდა მატჩის მოსაგებად. ამის შესრულება მსოფლიო ჩემპიონის თავდადებული წინააღმდეგობის დაძლევასთან იყო დაკავშირებული. ამიტომ VII პარტიაში პრეტენდენტი გადაჭრით ეკვეთა ჩემპიონს, მაგრამ ღრმად არ გაერკვა მსოფლიო ჩემპიონის მანევრში და სწრაფად დამარცხდა. ამის შემდეგ შეირყა კ. ზვორიკინას პოზიციები. მართალია, VIII და IX პარტიები ყაიმით დამთავრდა, მაგრამ X პარტიაში უკეთეს მდგომარეობაში (უკვე ცაიტნოტში) მან დაკარგა ფიგურა. ამ პარტიის წაგებით კ. ზვორიკინას გამარჯვების ძალზე მინიმალური შანსები დარჩა.

ე. ბიკოვამ მოიგო XI და XII პარტიებიც. ანგარიში გახდა 8:4. მას ერთი ყაიმილა უნდოდა, რომ დაემთავრებინა მატჩი. XIII პარტიაში დიდი ბრძოლა გაჩაღდა, რომელიც ორ დღეს მიმდინარეობდა, მაგრამ ე. ბიკოვამ მაინც შეძლო მისი ყაიმით დამთავრება.

— მატჩი შეწყდა. ე. ბიკოვამ გაიმარჯვა და მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

მატჩის შემდეგ საჭადრაკო სამყარო კითხულობდა:

— ვინაა შემდეგი პრეტენდენტი. დღევანდელ საერთაშორისო კლასის მოჭადრაკეებს შორის არავინ ჩანს ე. ბიკოვას ღირსეული მეტოქე.

ახალი პრეტენდენტის ვინაობა არანაკლებ აინტერესებდა ე. ბიკოვას: რას იფიქრებდა იგი, რომ მისი მეტოქე მისმიერვე აგულიანებული ნონა გაფრინდაშვილი იქნებოდა. „რიგით“ ხომ მას არ ეკუთვნოდა ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტახტისათვის?

თ. გიორგაძე

* * *

სურათზე: ე. ბიკოვას ამკობენ ჩემპიონის დაფნის გვირგვინით.

ხელოვნების მუშაკთა სახლში

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში დამთავრდა თბილისის 1962 წლის გუნდური პირველობა ჭადრაკში სანახაობითი დაწესებულებების მოჭადრაკეთა კოლექტივებს შორის. პირველი ადგილი დაიკავა „საქწიგნის“ გუნდმა. II-III ადგილები გაიყვეს საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის დამსახურებულმა ანსამბლმა და ხელოვნების მუშაკთა სახლის გუნდმა.

* * *

საინტერესო იყო თბილისის კულტურის დაწესებულებების მოჭადრაკე ქალთა 1962 წლის ჩემპიონატი, რომელიც პირველად მოეწყო. ჩემპიონის სახელისათვის ერთმანეთს ეცილებოდა 8 მოჭადრაკე. I ადგილი მოიპოვა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა ქ. [illegible] (12,5 ქულა). II ადგილზე (11 ქულით) გამოვიდა „ლიტერატურული გაზეთის“ მუშაკი ლ. წერონძე, III ადგილზე დარჩა სამხატვრო აკადემიის მუშაკი ვ. ებრალიძე (8 ქულა),

* * *

ხელოვნების მუშაკთა სახლის მოჭადრაკეთა კოლექტივი ამას წინათ შეხვდა საქართველოს სსრ პროკურატურის მოჭადრაკეთა გუნდს ამხანაგურ მატჩში 7 დაფაზე. გაიმარჯვა ხელოვნების მუშაკთა სახლის გუნდმა — 5:2.

ი. თორდია

ჩვენი მომავალი გეგმები

თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა გუნდის პოლონეთში ჩატარებული ტურნეს გამო

◆

საბჭოთა ხელბურთელთა წრეებში თბილისის „ბურევესტნიკის“ წარმატებამ საბჭოთა კავშირის ხელბურთელთა I ოფიციალურ ჩემპიონატში დიდი ხმაური გამოიწვია. ერთნი ამას თვლიდნენ კანონზომიერ მოვლენად, მეორეთათვის კი ეს მოულოდნელობა იყო. რაშია ჩვენი ერთობ მცირე ასაკის გუნდის (თბილისის „ბურევესტნიკს“ და მასთან ერთად ქართულ ხელბურთს სულ ხუთიოდე წლის ისტორია აქვს) თვისობრივი ნახტომის საიდუმლოება?

გუნდმა „ნახტომს“ თამაშის ტაქტიკაში, ტექნიკასა და ოსტატობაში დაუღალავი ვარჯიშითა და მიზნისადმი მეგობრული, ერთსულოვანი სწრაფვით მიაღწია. წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო აგრეთვე ევროპის ქვეყნების საკლუბო გუნდებთან საერთაშორისო მატჩებში მიღებული გამოცდილება. და ბოლოს პოლონეთში ტურნემ გარკვეული წარმოდგენა მოგვცა ევროპული ხელბურთის კლასზე. აქამდე ჩატარებული 10 საერთაშორისო მატჩიდან ყველაზე დიდი სამსახური გაგვიწია იმ ერთადერთმა დამარცხებამ, რომელიც ჩეხებთან განვიცადეთ. ჩეხებმა, შეიძლება ითქვას, ნათლად გვაჩვენეს რაში გვჯობნიდნენ და ისიც დაგვანახვეს, რით შეიძლებოდა ყოველივე ამის გამოსწორება. ჩვენ შევძელით ყოველივე ამის გათვალისწინება და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე მივიღეთ ლოგიკური შედეგი — ჩემპიონთა წითელი მაისურები.

მაგრამ ეს საკმარისი იყო გუშინ, დღეს და ხვალ კი ჩვენ ასე იოლად ვერ ვიქნებით გამარჯვებულთა რიგებში, თუ არ გავითვალისწინეთ ის, რომ სხვა გუნდები უკვე ემზადებიან რევანშისათვის.

ახლის ძიება, თამაშის კლასის კიდევ უფრო ამაღლება, საერთაშორისო თამაშების გეოგრაფიული არის გამდიდრება და იქ გამოცდილების შეძენა — აი ახალი და გადაუდებელი ამოცანა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემდეგ და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების წინ.

ახლა თქვენი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმაზე, თუ რას წარმოადგენს პოლონური ხელბურთი. პოლონეთის I ლიგის გუნდების ერთი ნაწილი თამაშობს მკვეთრად. უფრო სწორად, უხეშად, მეორე ნაწილი გუნდებისა კი გამოირჩევა კორექტულობით, მაგრამ მათი მთავარი ნაკლი მაინც ნელი და რალაც მოდუნებული თამაშია. ყველაზე მეტად ეს ჩანს თავდასხმაში. შეტევისას ისინი დიდხანს და ნელა ათამაშებენ ბურთს, ისე, რომ ჩვენს ხელბურთელებს სრულიად არ უჭირდათ თავდაცვის ორგანიზება. ჩვენის აზრით ეს უფრო იმიტომაც ხდებოდა, რომ პოლონეთის ლია მოედნები შლაკიანია და ძალზე ძნელია ბურთის ტარება. სწრაფად გადაცემა და საერთოდ სწრაფი ტემპის აწყობა. მიუხედავად ამისა, ჩვენმა ხელბურთელებმა რამდენადმე შეძლეს ამ დაბრკოლების გადალახვა და მათთვის ჩვეული კლასის ჩვენებაც. სწორედ ამან განაცვიფრა ხელბურთის პოლონელი სპეციალისტები, რომლებიც მოწონებით აღნიშნავდნენ ქართველ ხელბურთელთა დიდ სიჩქარეზე ტექნიკური ილეთების გამოყენების უნარს. პოლონელ ხელბურთელთა შორის ყველაზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ი. ტვარდოვსკიმ. სხვათა შორის, მას ჩვენ 5 ივლისს ვიხილავთ სპორტის სასახლეში პოლონეთის სტუდენტთა ნაკრების შემადგენლობაში. ეს იქნება პოლონელთა საპასუხო ვიზიტი.

ახლა ჩვენს მომავალ გეგმებზე. ჩვენ გვაქვს ოფიციალური მიწვევა სოციალისტური ქვეყნების ხელბურთელთა ტურნირზე, რომელიც პოლონეთში ქ. გდანსკში 4 ოქტომბერს დაიწყება. ამ ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ ბერლინის „დინამო“, პრაღის „რუდა გვეზდა“, ბუდაპეშტის „ჩეპელი“, პოლონეთის ერთ-ერთი საკლუბო გუნდი და ჩვენი კოლექტივი. გარდა ამისა, ქართველი ხელბურთელების ერთი ნაწილი, რომელიც საბჭოთა კავშირის ნაკრებშია შეყვანილი, სათანადო წვრთნის შემდეგ მოსკოვში 19-20 ნოემბერს შეხვდება მსოფლიო ჩემპიონს — რუმინეთის ნაკრებს. 25 ნოემბერს კი მსოფლიოს ჩემპიონი ეწვევა თბილისს და შეხვდება „ბურევსტნიკის“ ხელბურთელებს.

ნოემბრის ბოლოს დაიწყება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება, სადაც ჩვენც ვმონაწილეობთ. სექტემბერში, მადრიდში მოხდება კენჭისყრა იმ 22 გუნდისა, რომლებსაც თასისათვის ბრძოლის უფლება აქვთ.

ვიმედოვნებთ, რომ მომავალი ტურნირები და საკონტროლო მატჩები ხელს შეუწყობს ჩვენს გუნდს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში კარგი შედეგით გამოსვლაში.

გ. შარაშიძე,
საქართველოს ხელბურთის ფედერაციის თავმჯდომარე.

* * *

სურათზე: საბჭოთა კავშირის 1962 წლის ჩემპიონი ხელბურთში თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდი.

ფეხბურთის ქრონიკა

შედგა კიდევ ერთი მატჩი ევროპის თასზე ფეხბურთში. დანიის ნაკრებმა კოპენჰაგენში მიიღო მალტის გუნდი. დანიელებმა დიდი უპირატესობით ჩაატარეს შეხვედრა და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 6:1.

პარიზში დამთავრდა 4 გუნდის საერთაშორისო ტურნირი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი) და „რაპიდი“ (ვენა). მატჩი მოიგეს იუგოსლაველებმა ანგარიშით 2:0.

რედაქტორი ი. უგულავა.

სპორტის სასახლე

5 ივლისი
ხელბურთი
(7:7)

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა
„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — სტუდენტთა ნაკრები (პოლონეთი).
ქალები და ვაჟები
დასაწყისი 19 ს. 30 წ.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14,
უე 05792